დანართი დამტკიცებულია
შპსქართულ- ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის
გენერალური დირექტორის
2023 წლის . №... ბრძანებით

საგნობრივი კათედრების ზოგადი დებულება

შპს ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

საგნობრივი კათედრები თავის საქმიანობას წარმართავს,,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, ეროვნული

სასწავლო გეგმის, შპს ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის“ შინაგანაწესის, თანამდებობრივი ინსტრუქციებისა და ამ დებულების შესაბამისად.

სკოლაში ფუნქციონირებს 8 საგნობრივი კათედრა:

- ✓ ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა;
- ✓ უცხოური ენების კათედრა;(ინგლისური ენა,
- ✓ უცხოური ენების კათედრა(გერმანული,რუსული ენები))
- ✓ მათემატიკისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების;
- ✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრა;
- ✓ საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა;
- ✓ დაწყებითი კლასების,
- ✓ ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა

მუხლი 2. კათედრების მიზნები და ამოცანები:

- საგნობრივი ჯგუფის საგნის/საგნების სწავლების კოორდინაცია
- კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობის განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება;
- გრიფმინიჭებული და დამატებითი სახელმძღვანელოების შერჩევა და პედაგოგიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად წარდგენა;
- მასწავლებლის პროფესიული განვითარებისთვის ზრუნვა;
- რეკომენდაციების შემუშავება სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით;
- შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის, მოსწავლეთა აკადემიიური მიღწევების და გაცდენების ანალიზი;
- სწავლება/სწავლის თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების პრაქტიკაში დანერგვა;
- დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაცია

კათედრის ამოცანები:

- ახალი მეთოდების განხილვა-გაზიარება;
- ესგ /სასწავლო გეგმის მიხედვით საგნობრივი კურიკულუმის შედგენა;
- საუკეთესო მასწავლებლის გამოვლენა;
- მოსწავლეთა შეფასების ფორმებსა და ხერხებზე მუშაობა;
- სკოლის თვითშეფასებაში მონაწილეობა;
- სასწ./აღმზრდელობითი პროცესის მონიტორინგი;
- სასწავლო დაწესებულებაში საგნების სწავლებაში არსებული პრობლემების კვლევა და მისი გადაჭრის გზების ძიება;
- სასწავლო რესურსების შექმნა
- მოსწავლეთა კონკურსების,კონფერენციების, ოლიმპიადების ჩატარება;
- პედაგოგთათვის ტრეინინგების , სემინარების მოწყობა;მხარდაჭერა
- სასწ./წლისგანმავლობაში (შუაში, ბოლოს) მოსწავლეთა მიღწევების დემონსტრირება (გამოფენები, სპექტაკლები და სხვ;);
- წახალისების ფორმების შექმნა, პრიზების დაწესება;
- საუკეთესო მასწავლებლის გამოცდილების გაზიარება:
- ახალბედა მასწავლებლისათვის დახმარების გაწევა პედაგოგიური და ხელოვნების მიზნით;
- თვითგანვითარებასა და სწავლების ინოვაციური მეთოდების შესწავლა-სრულყოფაზე ზრუნვა;

- საჭიროების მიხედვით ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენა;
- სხვა სკოლების გამოცდილების გაზიარება და სხვ;
- დებულება ექვემდებარება მიმდინარე ცვლილებებს.

თავი 3. საგნობრივი კათედრის ხელმძღვანელს ევალება :

- კათედრის ს ორგანიზირება, მართვა, სხვა კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა.
- კათედრის სხდომების ორგანიზირება, ჩატარება.
- სამუშაო გეგმით გათვალისწინებული საკითხების შესრულების კონტროლი, შედეგების ანალიზი.
- კათედრის წევრთა მუშაობის მონიტორინგი.
- კათედრის საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაციის ორგანიზება.
- მუშაობის წლიური ანგარიშის წარდგენა პედაგოგური საბჭოსათვის.

კათედრა ვალდებულია იზრუნოს საკუთარი ბიბლიოთეკის შექმნაზე;
ბიბლიოთეკაში შედის:

- მოქმედი სახელმძღვანელოების თითო ეგზემპლარი;
- მეთოდური ლიტერატურა;
- საგნობრივი და პერიოდული გამოცემები;
- აუდიოვიზუალური მასალის ფონდი;

მუხლი 4. კათედრის სხდომა და გადაწყვეტილების მიღების წესი

- კათედრის სხდომა სასწავლო წლის განმავლობაში ტარდება 3 ჯერ, საჭიროების შემთხვევაში შეიძლება ჩატარდეს რიგგარეშე სხდომაც.
- კათედრა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თუ სხდომას

ესწრება კათედრის წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3;

- კათედრის სხდომა გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეთა ხმათა უმრავლესობით;
- ხმების თანაბარი რაოდენობით გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კათედრის

თავმჯდომარის ხმა

მუხლი7. კათედრის დებულების დამტკიცება და ცვლილების შეტანა

- კათედრის დებულებას შეიმუშავებს და ბრძანებით ამტკიცებს სკოლის გენერალური დირექტორი;
- დებულების მიღება, გაუქმება, ხორციელდება ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული წესით.